პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 293 (18835) პარასკევი, 23 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განხილა მეშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერებისა და კოლექტივის საწარმოო-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად მათი მეცადინეობის კონცენტრაციისათვის მაღნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა ამ მხრივ გაწეული მუშაობა და რეკომენდაცია მისცა კომბინატის პარტიულ კომიტეტს და ხელმძღვანელობას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმის საჭიროებას, რომ ფართოდ დანერგონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმა, გადაალეგონ კომბინატი წარმოების მაღალი ეფექტიანობისა და კულტურის სანიმუშო-საჩვენებელ საწარმოდ. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

მიღებულია დადგენილება საქფრინველმრეწვის საწარმოებში ხორცისა და კვერცხის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების არსებული რეზერვების გამოყენების ეფექტიანობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა ენგურის ელეულოზაქაღალდის კომბინატის დირექტორის ამხ. ო. ა. ფაცაციას ინფორმაცია მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისთვის მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ წელს საწარმოს კოლექტივმა მიაღწია ბოჭკოვანი ნახევარფაბრიკატების, თბო და ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას. ამასთან ვერ შესრულდა ცალკეულ სახეობათა მასალებისა და ნახევარფაბრიკატების, პირობითი სათბობის დაზოგვის დავალებანი. კომბინატის ხელმძღვანელობას, პარტიულ კომიტეტს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალთ განაზორციელონ საჭირო ღონისძიებანი ნედლეული, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის 1983 წლის შედეგების შეჯამებისა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებში და სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოწყობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის გაფაფოფილების ინფორმაცია საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციების მომდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ კონფერენციები იმართება მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, საქმიანობისა და პარტიული პრინციპულობის სულისკვეთებით, სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მუშაობის ყოველმხრივი ანალიზის ნიშნით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებას ყოველ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლეგიურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. დეტალურად იხილავენ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ლ. ი. ოქრუაშვილის, ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის ო. გ. ვაშაკიძისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივნის ამხ. ვ. ი. კორძაძის ანგარიშები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მუშაობის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოიწონა სამეცნიერო კვლევის დონისა და ეფექტიანობის ამაღლებისა და მიღებული შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვის დაჩქარებისათვის გაწეული მუშაობა და ძირითადი ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა შეიმუშაონ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ექსპერიმენტული ბაზების განვითარებისა და უმაღლესი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პერსპექტიული პროგრამები, აქტუალური სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერთა და სტუდენტთა მატერიალური და მორალური სტიმულირების საკითხები, გააქტიურონ იმ მუშაობის პროპაგანდა, რომელიც წარმოებს რესპუბლიკაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე განიხილეს საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელი რიგი სხვა საკითხები.

ᲬᲔᲚᲘᲜᲐᲓᲚ ᲐᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲔᲑᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲯᲘᲡ ᲜᲐᲣᲧᲝᲤᲘ

წლის დავალებანი—ვადამდე!

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, ქალაქების ზუგდიდისა და მარნეულის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის საიუბილეო წელს, ვადამდე შეასრულეს სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ზრდის ტემპის 1983 წლის გეგმები და დავალებანი.

მიმდინარე წლისა და ხუთწლედის სამი წლის გეგმა შეასრულა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა ბევრმა საწარმომ.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყავის საწარმოო გაერთიანების, „ისნის“ ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების, „ნარიყალას“ ფეხსაცმლის ფაბრიკის, ორჯონიკიძის და პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, ტრიკოტაჟის საცვლების, წინდისა და „ბაბტრიონის“ სატრიკოტაჟო გაერთიანებათა, ბათუმის კიროვის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლისა და სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის, ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატისა და სამკერვალო გაერთიანებების, რესპუბლიკის ფეხსაცმლის კომბინატის, ცხინვალის, სიღნაღის, თელავის, წყნეთის, ბოლნისის სამკერვალო ფაბრიკების, დამხმარე საწარმოთა კომბინატის, საცდელ-მექანიკური ქარხნის, მახარაძის, სამტრედიის, თელავის აბრეშუმსახვევი ფაბრიკების, ხაშურის ტექსტილგალანტერეის ფაბრიკისა და სხვათა კოლექტივებმა.

პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მასალების დაზოგვის გზით.

სავაჭრო უკვე მიიღო მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი, რომელიც მომავალი წლის ანგარიშშია დამზადებული.

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, საგარეჯოსა და ფულუკიძის რაიონების, ქალაქ ფულტუგოს ზონის სოფლის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის დავალებანი.

საგარეჯოს რაიონში:

დამზადებულია 4568 ტონა მარცვლეული, 4335 ტონა ხილი, 3013 ტონა ბოსტნეული, 5317 ტონა ხორცი, 4530 ცენტნერი მატყლი, 201 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

ფულუკიძის რაიონში:

დამზადებულია 847 ტონა მარცვლეული, 3630 ტონა ხილი, 4557 ტონა ბოსტნეული, 10301 ტონა ჩაი, 524 ტონა ყურძენი, 498 ათასი ცალი კვერცხი, 227 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

ქალაქ ფულტუგოს ზონაში:

დამზადებულია 21150 ტონა ბოსტნეული, 7435 ტონა ხილი, 13488 ტონა ჩაი, 4146 ტონა ყურძენი, 4202 ტონა რძე, 23405 ათასი ცალი კვერცხი, 381 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

შეადარეთ ეს ციფრები:

1975-1980 წლებში სახელმწიფოს საშუალოდ მიჰყიდეს:

საგარეჯოს რაიონსა — 1858 ტონა ხილი, 2686 ტონა ბოსტნეული, 4458 ტონა ხორცი, 179 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

ფულუკიძის რაიონსა — 1098 ტონა ხილი, 3987 ტონა ბოსტნეული, 8611 ტონა ჩაი, 890 ათასი ცალი კვერცხი, 224 ცენტნერი აბრეშუმის პარკი.

ქალაქ ფულტუგოს ზონასა — 18140 ტონა ბოსტნეული, 5516 ტონა ხილი, 11407 ტონა ჩაი, 8192 ტონა ყურძენი, 3907 ტონა რძე, 16281 ათასი ცალი კვერცხი, 845 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. (საქინფორმი).

ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲥᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენების საბჭოს ანგარიში. ამ საკითხზე მიღებული დადგენილება.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების სამუშაო ჯგუფების, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების შესაბამისი კომისიების უმრავლესობამ შესამჩნევად გააქტიურა თავისი საქმიანობა. ამის შედეგად რესპუბლიკაში მოლიანად სტაბილურად სრულდება უმნიშვნელოვანეს სახეობათა მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის მეორეული ნედლეულის უტილიზაციის ვალდებულებანი. უფრო ფართოდ ინერგება უნარჩენო და ენერგოდამზოგავი ტექნოლოგია. იზრდება ნაკლებად ლითონტევად სახეობათა მოწყობილობის, მანქანების, ხელსაწყოების, სახალხო მოხმარების საერნლო გამოშვება. მომჭირნეობის პრობლემების გადაწყვეტას ეძღვნება ასზე მეტი კვლევითი თემა და ნამუშევარი, რომელებსაც რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებანი ახორციელებენ. მეურნეობრიობაში უაირათიანობას ხელი შეუწყო მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური საუწყებათშორისო კომისიის, საქმთავარენერგოს, რესპუბლიკის სახმომარაგებისა და ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობამ.

უაირათიანობის სულისკვეთებით აღზრდა მუდამ არის საქართველოს კომპარტიის თბილისის, ქუთაისის, ბათუმის საქალაქო, ზესტაფონის, აბაშის, მახარაძის რაიონული კომიტეტების, ზოგიერთი სხვა პარტიული კომიტეტის ყურადღების ცენტრში. ამ თვალსაზრისით მიზანმიმართულ მუშაობას ეწევიან მშენებლობის, ხე-ტყისა და ხის დამუშავების, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტროები, სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს, ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს, საამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოები.

წარმატებით ხორცეულდება სამეურნეო ექსპერიმენტები ქალაქ ფოთსა და ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონში რესურსების აირათიანი გამოყენების მართვის რეგიონალური სისტემების დანერგვისათვის.

მაგრამ, აღნიშნულია დადგენილებაში, ჯერჯერობით მიღწეული არ არის მთელი საგეგმო სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო საქმიანობის მტკიცე შემობრუნება არსებული რესურსების სრული და კომპლექსური გამოყენების, დანაკარგების ლიკვიდაციის გზაზე. საგეგმო დავალებათა შესრულების შედეგების შეჯამებისას ყოველთვის არ არის გთვალისწინებული, რამდენად უსწრებს წარმოება მოცულობათა ზრდა მატერიალურ დანახარჯებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი ლითონდამზოგავი მეცნიერული ნამუშევრები დანერგვის პრიორიტეტულობა.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, სასუქების წარმოების სამინისტროს, ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს, ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს, საამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოები.

წარმატებით ხორცეულდება სამეურნეო ექსპერიმენტები ქალაქ ფოთსა და ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონში რესურსების აირათიანი გამოყენების მართვის რეგიონალური სისტემების დანერგვისათვის.

მაგრამ, აღნიშნულია დადგენილებაში, ჯერჯერობით მიღწეული არ არის მთელი საგეგმო სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო საქმიანობის მტკიცე შემობრუნება არსებული რესურსების სრული და კომპლექსური გამოყენების, დანაკარგების ლიკვიდაციის გზაზე. საგეგმო დავალებათა შესრულების შედეგების შეჯამებისას ყოველთვის არ არის გთვალისწინებული, რამდენად უსწრებს წარმოება მოცულობათა ზრდა მატერიალურ დანახარჯებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი ლითონდამზოგავი მეცნიერული ნამუშევრებს დანერგვის პრიორიტეტულობა.

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, სასუქების წარმოების სამინისტროს, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საწარმოების მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმების საშუალო. შემცირების, მათი დამატებითი დაზოგვის დავალებანი საკმარისად არ არის განმტკიცებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებით. უფრო მეტიც, არის ნედლეულსა და მასალებზე მოთხოვნილების გადიდების ფაქტები.

ყველგან როდია შემუშავებული და გამოყენებული უყაირათობისა და ფლანგველობის დროული გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებათა ქმედითი სისტემა, იმათ, კი ვისაც ბრალი მოუძღვის ამაში, ყოველთვის მკაცრად როდი აგებინებენ პასუხს.

თუმცა, ადგილობრივმა ორგანოებმა მთლიანად შესამჩნევად გააქტიურეს მუშაობა წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების შეგროვების მოცულობის გადიდებისათვის, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რუსთავის, ახალციხის, გარდაბნის, გორის, ჩოხატაურისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებს შესაბამისი სამუშაო ჯგუფებსა, აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საუწყებათაშორისო კომისიებს, სამინისტროებს, უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებების კომისიების უმნიშვნელოვანესი ამოცანებია:

— გეგმაზომიერად გარდაქმნან, სრულყოფ ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სამეურნეო მაკონტროლებელი და ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. რათა გაძლიერონ მომჭირნეობის რეჟიმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად, მიანიჭონ ამ მუშაობას საჭირო კონკრეტულობა და ქმედითობა;

— აამაღლონ მომთხოვნელობა თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ამა თუ იმ უბანზე რესურსების დაზოგვისათვის, მეორეული ნედლეულის უტილიზაციისათვის, ნორმებისა და ლიმიტების ზუსტი დაცვისათვის, რესურსდამზოგავი ღონისძიებების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გეგმების დროული რეალიზაციისათვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფის, საფონდო და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და ნედლეულის, მასალების,

(დასასრული მე-2 გვ.).

მოწინავეთა მხარდამხარ

რუსთავის საწარმოო გაერთიანების „ქიმბოჭკოს“ № 1 საქსოვი საამქროს ცვლის უფროსის, კომკავშირელ ვერა შუბითიძის ბიოგრაფია ჩვეულებრივია, ისეთივე, როგორიც ბევრი მისი თანატოლისა.

1978 წელს დაამთავრა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის საშუალო სკოლა, რუსთავის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში შევიდა და 1980 წელს წარჩინებით დაასრულა მისი კურსი.

და აი, უკვე მესამე წელია საქსოვ საამქროში მუშაობს და უკვე მუშიდან წარმოების მეთაურამდე გზა განვლო. შრომისმოყვარეობა, თავისი პროფესიის ცოდნა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა — აი თვისებები, რომლებიც ახასიათებს ახალგაზრდა მუშაკს. კომკავშირელ ვერა შუბითიძის მეთაურობით 70-მდე მუშა შრომობს.

სურათზე: ვერა შუბითიძე.
ფ. კრემსკის და ჯ. ლომაძის ფოტო.

რესპუბლიკის მშრომელები სამშობლოს შესაბამისად სოციალისტურ შეჯიბრებაში ეროვნულ ეკონომიკურ ამოცანებს

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 25-ე და 26-ე მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

მარკოზი გიორგი მოკეის ძე, მწერალი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირისაგან.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ბირიუკოვი ალექსანდრა პავლეს ასული, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი — სსრ კავშირის პროფესიული კავშირებისაგან.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

ლეგაჩოვი ეგორ კუზმის ძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე — კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ

აკმატოვი ტაშტანბეკი, სარქალი — ყირგიზეთის სსრ ისიკ-ყულის ოლქის ტონსკის რაიონის პარტიის XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ბაგიროვი ოქტაი ალისატარის ძე, მღვიანეთა ბრიგადირი — კიზლინსკის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეთა კოლექტივისაგან, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ქალაქი ბაკო.

ბასოვი ნიკოლოზ გენადის ძე, აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე — სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნისაგან“.

ᲑᲠᲔᲜᲜᲝᲕᲘ გერმანე სერგის ძე, ქარხნის დირექტორი — გორკის მექანიკური ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

ᲑᲠᲔᲜᲜᲝᲕᲘ გერმანე სერგის ძე, ბელორუსიის კომპარტიის გროდნოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი — გროდნოს საოლქო პარტიული ორგანიზაციისაგან.

კუზმაუსკასი კონსტანტინასრომეალდას პიატრას ძე, — გემთამშენი — გემთსაშენებელი ქარხანა „ბალტიისა“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან, ლიტვის სს რესპუბლიკის ქალაქი კლაიპედა.

ᲚᲐᲨᲙᲝᲕᲐ ნატალია ალექსანდრეს ასული, მეზბორე — ალტის მხარის პოსპელიხის რაიონის მამონტოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲕᲘ ნიკოლოზ დიმიტრის ძე, ტრაქტორისტი — სტავროპოლის მხარის ბლაგოდარნის რაიონის კოლმეურნეობა „როდინის“ კოლმეურნეებისაგან.

მიშინი ვიქტორ მაქსიმეს ძე, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

მკრტჩიანი ლუიზა ოგანესის ასული, ქალაქ ერევნის № 129 სკოლის მასწავლებელი — სომხეთის სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

მოსაშვილი თეიმურაზ ილიას ძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე — საქართველოს სსრ პროფესიული კავშირებისაგან.

მურადოვი ბაირამგული, უბნის ექიმი — თურქმენეთის სს რესპუბლიკის ქალაქ აშხაბადის № 7 პოლიკლინიკის მუშაკთა კოლექტივისაგან.

პიმენოვი ევგენი კუზმას ძე, ნავთობისა და გაზის მოპოვების ოპერატორი — საწარმოო გაერთიანება „სურგუტნავთობგაზის“ ნავთობგაზმომპოვებელი სამმართველო „ფედოროვსნავთობის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეების კოლექტივისაგან, ტიუმენის ოლქი.

უელტოვი ალექსი სერგის ძე, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე — საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტისაგან.

რიკენი იალმე აქსელის ასული, მერძევეობის კომპლექსის ბრიგადირი — ესტონეთის სს რესპუბლიკის რაკვერეს რაიონის კოლმეურნეობა „ვიიაკე-მაარიას“ კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

რუმანე მარიტე კარლოს ასული, ლატვიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი — ლატვიის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

რუსტამოვა ხოლბუვი, მებამბეთა ბრიგადის ბრიგადირი — უზბეკეთის სსრ ჯიზაყის ოლქის ფახთაქორის რაიონის ულიანოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

სოლოვიოვი იური ფილიპეს ძე სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი — ლენინგრადის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან.

ტიტარენკო ალექსი ანტონის ძე, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი — უკრაინის რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციისაგან.

შუკრობეკოვი ბორანბეკი, ყარაყულის სახელმწიფო ჯიშთსანაშენის დირექტორი — ყაზახეთის სსრ ჩიმკენტის ოლქის ბუგუნსკის რაიონის სახელმწიფო ყარაყულის ჯიშთსანაშენე „ზადარინსკის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

ჯანბეკოვი ვლადიმერ ალექსის ძე, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი — ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრის მუშაკთა კოლექტივისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 22 დეკემბერი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცებულ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის 24-ე, 25-ე და 27-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

მეტონიძე გურამ არჩილის ძე, საწარმოო გაერთიანება „ელმაგალმშენებლის“ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ეპიშევი ალექსი ალექსის ძე, საბჭოთა არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოებისაგან (სსრ კავშირის დოსაააფისაგან).

ვოლკოვა ფლორიდა კადირის ასული, მეპარატე — ყაზანის საწარმოო გაერთიანება „ორგანული სინთეზის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან, თათრეთის ასს რესპუბლიკის ქალაქი ყაზანი.

კლეციკოვი ლეონიდე გერასიმეს ძე, ბელორუსიის კომპარტიის გროდნოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი — გროდნოს საოლქო პარტიული ორგანიზაციისაგან.

კუზმაუსკასი კონსტანტინასრომეალდას პიატრას ძე, — გემთამშენი — გემთსაშენებელი ქარხანა „ბალტიისა“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან, ლიტვის სს რესპუბლიკის ქალაქი კლაიპედა.

ᲚᲐᲨᲙᲝᲕᲐ ნატალია ალექსანდრეს ასული, მეზბორე — ალტის მხარის პოსპელიხის რაიონის მამონტოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

მაკაროვი ნიკოლოზ დიმიტრის ძე, ტრაქტორისტი — სტავროპოლის მხარის ბლაგოდარნის რაიონის კოლმეურნეობა „როდინის“ კოლმეურნეებისაგან.

მიშინი ვიქტორ მაქსიმეს ძე, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

მკრტჩიანი ლუიზა ოგანესის ასული, ქალაქ ერევნის № 129 სკოლის მასწავ

ᲕᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲧᲐᲘᲠᲐᲗᲘᲐᲜ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

სათბობისა და ენერგიის ყოველდღიური დანაკარგების ლიკვიდაციისათვის;

— განსაზღვრონ საბაზო საწარმოები, მშენებლობები და მეურნეობანი ყაირათიანი მეურნეობრიობის გამოცდილების, რესურსების მომჭირნე ხარჯვისათვის სოციალისტური შეჯიბრების პროგრესული ფორმების დახვეწისა და შემდგომი გავრცელებისათვის, მოწინავეთა მატერიალური და მორალური სტიმულირებისათვის.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახმომარაგებამ და ცეკავშირმა უნდა დაიწუსტონ რესურსების ბაზა, აამაღლონ დამამზადებელი ქსელის მობილურობა, გაზარდონ გადამმუშავებელი სიმძლავრეები და ამით საამედო წანამძღვრები შექმნან სახალხო-სამეურნეო ბრუნვაში მეორეული სანედლეულო რესურსების მაქსიმალური მოქცევისათვის.

რეგიონალური სამუშაო ჯგუფები და საუწყებო კომისიები კონკრეტულად უნდა სწვდებოდნენ ყაირათიანობისათვის მატერიალური და მორალური სტიმულირების საკითხებს, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვისათვის ქალაქების, რაიონებისა და შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას, ამაღლებდნენ მის ქმედითობას.

მიზანშეწონილად ცნეს 1984 წლის იანვრიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მატერიალურ-სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობის მოქმედი ექსპოზიციის ბაზაზე შეიქმნას წარმოების მასალა-და ენერგოტევადობის შემცირების დარგი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პროპაგანდისა და დანერგვის საინფორმაციო-მეთოდიკური ცენტრი.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის მუშაობის დაყენება, ნათქვამია მიღებულ დოკუმენტში, მიჩნეულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

(საქინფორმი).

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცდა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან. მის თავმჯდომარედ დამტკიცებულია აფხაზეთის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო პოლიგრაფიული გაერთიანების მუშა აგრაფინა ანდრიას ასული **ძიძარია.**

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი ბრძანებულებით დაამტკიცა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობა აჭარის ასს რესპუბლიკისაგან. კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **დოლიძე.**

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან დაამტკიცა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომმა. მის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ მუშა ვიაჩესლავ მალაქიას ძე **ბიბილოვი.** (საქინფორმი).

წარმომადგენელთა დასახელება

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სს რესპუბლიკისაგან

21 დეკემბერს დამთავრდა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სს რესპუბლიკისაგან წარმომადგენელთა დასახელება.

გაიმართა საქართველოს ალკკ ყვარლის რაიკომის ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში რაიონული კომკავშირული ორგანიზაციისაგან წარმომადგენლის დასახელებას.

სხდომაზე გამოვიდა კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი კ. ს. კაპანაძე, რომელმაც დასახელა ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელის, ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშის ალექსანდრე ვლადიმერის ძე ჯანგიძის კანდიდატურა.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი სოფელ შილდის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. ე. ბერიაშვილმა, რაიონული გაზეთის „ყვარლის“ რედაქციის პასუხისმგებელმა მდივანმა ბ. ი. ბეროშვილმა, სოფელ ბალღოჯიანის კოლმეურნეობის მეეხოვნეობის ფერმის ვეტერინარმა ექიმმა კ. გ. ცინარიძემ, ენისლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. ო. თიღაშვილმა და სხვებმა.

სხდომის მონაწილეებმა ერთხმად დაასახელეს ა. ვ. ჯანგიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სს რესპუბლიკისაგან.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მერკუშევი დაასახელეს საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს სს რესპუბლიკისაგან წარმომადგენელთა დასახელება.

ბორჯომის № 10 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის კრებამ საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში თავის წარმომადგენლად ერთხმად დაასახელა პედაგოგი, ალკკ წევრი დიანა ივანაძე ასული კონჯარია. იგი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ასწავლის დაწყებით კლასებში, არის მასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციის წევრი; ხელმძღვანელობს გახანგრძლივებული დღის ჯგუფისადმი პიონერული ორგანიზაციის საშეფო მუშაობას.

ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივის კრებაზე საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელეს მოწინავე მუშა, უპარტიო რუსიკო ბესარიონის ასული მუზაევა. იგი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ნიადგ გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, აქტიურად მონაწილეობს კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნელი ვლადიმერის ასული გურგენიძე.

საქართველოს სსრ კულტურის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა გადაწყვიტა საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში თავის წარმომადგენლად დაასახელოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ციული კალისტრატეს ძე შარტავა.

თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა, კომკავშირელი დოდო ელდარის ასული ხუციძე საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში თავის წარმომადგენლად დაასახელა ამ მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა.

საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ქ. თბილისის კალინინის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან დაასახელეს გაერთიანება „თბილისქალაქშენის“ № 14 ტრესტის თბილისის № 1 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მეარმატურე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აზიზ აფოს ძე ბაგეროვი.

საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშიწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისაგან საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელეს საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე გაიოზ ვლადიმერის ძე ნანეიშვილი. (საქინფორმი).

Д. Т. УСТИНОВЫН ГАДАЕЦА ВИЕТНАМИС СОЦИАЛИСТУРИ РЕСПУБЛИКИС ЖИЛДО

21 ДЕКЕМБЕРС ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში დინ ნიო ლიემმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დავალებით ხო ში მინის ორდენი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს დ. თ. უსტინოვს, რომელიც დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის განვითარებასა და ვიეტნამის სახალხო არმიის განმტკიცებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

დინ ლიო ნიემმა გულთბილად მიესალმა დ. თ. უსტინოვს ჯილდოს, უსურვა შემდგომი წარმატებანი თავის პასუხსაგებ მუშაობაში.

საპასუხო სიტყვაში დ. თ. უსტინოვმა თქვა, რომ ეს ჯილდო არის საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ინტერნაციონალური ამაგის, იმ უთვალსაჩინოესი როლის აღიარება, რომელიც სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, მათი ხალხებისა და არმიების ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებაში მიუძღვით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით. მან გულითადი მადლობა მოახსენა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს. (საკდესი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ — ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ

ᲗᲠᲝᲛᲑᲘᲡ ორგანიზაციის ახალი პროგრესული ფორმის — კოლექტიური იჯარით მუშაობის შედეგად ბრიგადამ, რომელშიც სახელგათქმეული აჭარელი მეჩაიე ნაზი აბაშიძე შრომობს, ამინდის მძიმე პირობების მიუხედავად, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა საგეგმო დავალება.

ახლებურად მუშაობის უპირატესობათა შესახებ კომუნისტმა ნ. აბაშიძემ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციის ტრიბუნიდან. ეს იყო მთელი კონფერენციისათვის ერთობ დამახასიათებელი გამოსვლა, რომელიც შეიცავდა გაწეული მუშაობის საგულდაგულო ანალიზს და მსჯელობას საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის ახალი გზების ძიების შესახებ.

ჩაი და ციტრუსები აჭარის მთავარი სიმდიდრეა. საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა პარტიის საოლქო კომიტეტის არც ერთი პლენუმი ან ბიუროს სხდომა, ამა თუ იმ თვალსაზრისით რომ არ განეხილოთ ამ კულტურების წარმოების, ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარების პრობლემები, 1980-1983 წლები იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, ხელმძღვანელობისა და მართვის სრულყოფის, აგროსამრეწველო გაერთიანებათა შექმნის, ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში მშრომელი აჭარის აქტიური მონაწილეობის წლები.

ამ დროის მანძილზე გეგმის გადაჭარბებით მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 20,3 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი და 100.3 ათასი ტონა ციტრუსები, საანგარიშო პერიოდში 1980 წლთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება საშუალო წლიური მოცულობა 16 პროცენტით, ხოლო თითოეული კოლმეურნის შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება — 15 პროცენტით გაიზარდა.

წლითიწლობით სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება აჭარის ასს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი. მიმდინარე ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. მნიშვნელოვნად განახლდა და გაიზარდა ძირითადი ფონდები, გაუმჯობესდა საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობა. როგორც აღინიშნა საოლქო კომიტეტის სანგარიშო მოხსენებაში, რომელიც კონფერენციაზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. ბა; წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოშვებული იქნება 26 მილიონი მანეთის ნაწარმი.

ფაბრიკების, ქარხნების, კომბინატების, საწარმოო გაერთიანებების პარტიული ორგანიზაციები ძირითად ყურადღებას უთმობენ ხუთწლედის საკვანძო ამოცანის გადაწყვეტას — შრომის ნაყოფიერების ყოველნაირ ზრდას, რის შედეგადაც აჭარაში მომდინარე წელს მიღებულია მთელი სამრეწველო პროდუქციის მატების 90 პროცენტი. დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელდა ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი ღონისძიებანი.

წარმატებით სრულდება ხელის შრომის მექანიზაციის ხუთწლიანი პროგრამა. სამი წლის მანძილზე მისი დონე 5,7 პუნქტით ამაღლდა და დღეისათვის 58,1 პროცენტს მიაღწია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწიეს ხელვაჩაურისა და ქობულეთის გაერთიანებათა ჩაის ფაბრიკებში, სადაც დაამონტაჟეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ბევრი ახალი მანქანა, დიდძალი ტექნოლოგიური მოწყობილობა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მძიმე ხელის შრომით დასაქმებული მუშათა რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება, მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

კონფერენციაზე საგულდაგულოდ გაანალიზეს საქმის ვითარება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის დარგში. ბევრი საწარმო გადავიდა დაგეგმვაზე ნორმატიულად წმინდა პროდუქციის მიხედვით. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა. ხარისხის მართვის საოლქო კომისია საწარმოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ყოველი წლის დამდეგს დეტალურად სწავლობს პროდუქციის ნომენკლატურას, ამუშავებს სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მისანიჭებლად ცალკეულ სახეობათა ნაწარმის მომზადებისა და წარდგენის გრაფიკებს, განსაზღვავს ხარისხის უფლებისა კატეგორიის პროდუქციის დამატებითი წარმოების შესაძლებლობებს, მიმდინარე წელს საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქციის გამოშვებამ გადააჭარბა 1980 წელს მიღწეულ დონეს და ამჟამად წარმოების საერთო მოცულობის 24 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ბათუმის ხისდამშუშავებელი კომბინატის კოლექტივმა, რომელიც მარტო ხარისხისნიშნიან ავეჯს უშვებს, ნავთობგადამშუშავებელი ქარხნის კოლექტივმა, რომლის რვა სახეობის პროდუქცია აღინიშნულია საპატიო ხუთკუთხედით, ტრანსფორმატორების, ელექტრომექანიკური ქარხნებისა და სხვა მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა.

მიუხედავად ამისა, როგორც მოხსენებასა და დელეგატების გამოსვლებში აღინიშნა, ყველა საწარმოში აქტიურად არ მიმდინარეობს წარმოების მართვის დაწინაურებული ფორმების დანერგვა, სამეურნეო ანგარიშის გაღრმავება და გაფართოება, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების როლის ამაღლება. ამის შედეგად წელს ავტონომიური რესპუბლიკის 11 სამრეწველო საწარმომ შეამცირა წარმოების მოცულობა. არადამაკმაყოფილებლად აგვარებენ პროდუქციის გამოშვების - გადიდების საკითხებს ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის, აჭარის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების, ჩაქვის ჩაის საწესები ფაბრიკისა და სხვა საწარმოების სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელები.

პარტიის საოლქო კომიტეტმა ზედმიწევნით შეისწავლა და გააანალიზა ფითოეულ სამრეწველო საწარმოში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების რეზერვები, და საოლქო კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა ამ პროდუქციის წარმოების დამატებითი დავალებანი 1983-1984 წლებისათვის. მიღებულია დადგენილება ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესახებ.

კონფერენციამ მოითხოვა, რომ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა, პარტიის რაიკომებმა, ადგილობრივმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, შრომითი კოლექტივების პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ განსაორციელონ კარდინალური ღონისძიებანი ამ დადგენილების შესასრულებლად.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოთა დაქვემდებარების რეორგანიზაცია, ამ პროფილის 25 საწარმოს გაერთიანება აგროსამრეწველო კომპლექსში ქმნის საშუალებას უფრო ეფექტურად ... ბულია ... ...

ნათესაობა

თუ გინახავთ ის სურათი („იზვესტია“ № 271/272), ალბათ არ დაგავიწყდებოდათ. სამხედრო ფერშალს ხელში უჭირავს ბავშვი, რომელსაც სრულიადაც არა აქვს ბავშვური თვალები. ეს ამბავი ოსეთში მოხდა, ელხოტის კარიბჭესთან. გოგონას — ელხოტას ამბავი — ეს არის ამბავი იმისა, თუ როგორ ეომებოდნენ ფაშისტები ბავშვებსაც. გოგონა დაუნდობლად აწამეს, დაჭრილი მაგიდას მიაბეს, რომელიც დანალმულ ქოხში იდგა. მაშინ წლინახევრისა იქნებოდა.

ამბავი ელხოტასი — ეს არ არის მარტოოდენ ამბავი ტანჯვა-წამებისა, არამედ იმისაც, რომ ქვეყნად არსებობს სასწაული: გოგონა იპოვეს და გადაარჩინეს 84-ე ცალკეული საზღვაო ბრიგადის მზვერავებმა, მოუარეს, გვარი მიუწერეს, ელხოტა დაარქვეს, მამის სახელი — ანატოლის ასული, ასე ერქვა ბრიგადის კომისარს დანილოვს.

და კიდევ ელხოტას ამბავი გვიჩვენებს იმასაც, როგორ კარგავდნენ ომის დროს გადარჩენილი საყვარელი ადამიანების კვალს. როგორ ეძებდნენ მათ. და როგორ პოულობდნენ, თუნდაც 28 წლის შემდეგ.

ახალ სურათზე, დღევანდელზე, 1942-ის გოგონას თვალები ყადრის სიღრმიდან შემოგვცქერის. ამის გამო მისი გამომეტყველება თითქოს უფრო შერბილებული და ბუნდოვანია, მაგრამ იქიდანაც, ელხოტას — ახლა მომზიბლავი, მოკრძალებული რუსიკოს ზურგს უკანიდან ეს მზერა მაინც გწვავს და გტანჯავს.

ელხოტა-რუსიკოს ჩვენ თბილისში, მის სახლში შევხვდით. იგი ოსი იყო დაბრუნდა ცვლიდან და ჯერ კიდევ სამუშაოს ამბებში იყო გართული. რუსიკო კუზაევა თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს, იქ კი დღეს უსიამოვნო ამბავი მოხდა — საამქროში ნამზადი გაუფუქდათ, იძულებული გახდა დარჩენილიყო და ამხანაგებს დახმარებოდა.

ჩვენ ვსხედვართ და დინჯად ვსაუბრობთ, გიორგი ხომზორი— „იზვესტიის“ ფოტოკორესპონდენტი კი, სწორედ ის, რომელმაც 1942 წელს ის პირველი, გულისმომკვლელი ფოტოსურათი გადაიღო, დუმს და სიყვარულით შესცქერის რუსიკოს: ოთახში ვაშლის სუნი ტრიალებს, თითქოს ბაღში იყო. მოწითალო და მოყვითალო ვაშლები ფოთლებიანად და უფოთლოდ ყრია მაგიდაზე. და ფანჯრის რაფაზე... ეს რიტას, რუსიკოს ქალიშვილს მოუტანია ამდენი. რატომღაც ვაშლი განსაკუთრებით უყვარს. შესცქერის, ტკბება და თითქოს მისი სურნელებით სუნთქავს.

ოჯახის კეთილი სული მისი მყუდროებაა, აი ეს მწიფე ვაშლები და უმრავი თოჯინა ჯერ რიტას, ახლა კი რუსიკოს შვილიშვილის ნონას ბავშვობის კულტია, რომელიც რუსიკოსგან მოსდგამს. და განა დიდი ახსნა-განმარტება უნდა, თუ რატომ? მას, უკვე ბებიას, მეზღვაურები მაინც როგორც პატარას ისე სწერენ ხოლმე წერილებს: „შეეხვდეთ ელხოტოვნი, მთელი ნაყინი შენთან ერთად უნდა შეევჭამოთ“.

ელხოტოვის სასოფლო საბჭოს ამმასკომის თავმჯდომარე აკბულატ კარსანოვი, რომელსაც გაუთავებელ შეკითხვებს უგზავნიდნენ მეომრები და თვითონაც ბევრი ირბინა მის ძებნაში, წერილში, რომელიც იმ დღეს გაუგზავნა, როცა რუსიკო იპოვეს, სწერს „ბევრი სიხარული მივიხვეთ მე და შენ ადამიანებს...“. სიხარული... ზუსტად არის ნათქვამი. ნაყინის შესახებ კი რუსიკოელხოტას ყოფილმა მეზღვაურმა, ალოლოგრადელმა ნიკოლოზ კოჩერგინმა მოსწერა. იგი პატარა ელხოტას გადარჩენებს არ განეკუთვნება, არცკი უნახავს არასოდროს, სულ სხვაგან იმობდა. კოჩერგინმა ომის დროს წაიკითხა „იზვესტიის“ ფრონტელი კორესპონდენტის პ. ბელიავსკის ნარკვევი ამ გოგონას შესახებ (№ 11, 1943 წ.).

„... მას შემდეგ არ მასვენებდა აზრი, მეპოვე სადმე. ძალზე უბედური იყო შენი ბავშვობა. 1947 წელს, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში ვიყავი, ვეძებდი ელხოტოვში, პროხლადნიში, ნალჩიკში; ტელესტეფოის შეშვეობით — ორჯონიკიძეში, შენს მოძებნას ვავალებდი კვალმაძიებელ ბავშვებს. ვერ გიპოვე. მაშინ ელხოტოვის სასოფლო საბჭოს მივწერე. იცი, ყველაზე მეტად ვისი მადლიერი უნდა იყო? კარსანოვისა, ნათელა სიჭინავასი. ძალიან იყოჩაღა ნათელამ...

... პირადად ჩემი საქმე ის იყო, რომ ყველანი ფეხზე დავაყენე“.

სასოფლო საბჭოში აკბულატ კარსანოვის მაგიდის ყველა უჯრა გატენილი იყო წერილებით. ელხოტას ეძებდნენ ბრიგადის მეთაური და კომისარი, მზვერავები, სანინსტრუქტორები, მეკავშირეები, ხშირად — ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. და ისეთებიც, როგორიც კოჩერგინია, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია მასთან. სად არის იგი, კითხულობდნენ ისინი. რით შეგვიძლია დავეხმაროთ, ვინმე ახლობელი თუ შემორჩა გოგონას? მაგრამ ელხოტას კვალი გაქრა. იგი თბილისის საავადმყოფოში განკურნეს და სხვა ობოლ ბავშვებთან ერთად საბავშვო სახლში გაგზავნეს, მერე სხვა ასეთსავე სახლში გადაიყვანეს. ელხოტოველები მის კვალს ეძებდნენ. მაგრამ საბავშვო სახლების არქივებში ვერ მიაგნეს გოგონას, გვარად მორსკაიას.

გამარჯვების დღესასწაულზე ჩამოვდივარ — ფეხები წამერთვა“.

რუსიკოს მიაგნეს 84-ე ბრიგადის ყოფილი მეომრები — მისი „მამობილების“ წერილებმაც. ეს წერილები დიდხანს ელოდნენ ელხოტას.

„როცა სამედიცინო-სანიტარიულ ბატალიონში მოგიყვანეს და ჩვენ — ნინო პოხომარიოვას, მარიამ გერასიმოვას და მე—კატო გულიკოვას გაფმოგვცეს შენი თავი, გაძვალტყავებული იყავი. თითქმის არ სუნთქავდი, უზარმაზარი შავი თვალები გიელვდა გადაფითრებულ სახეზე. შენ არც კი ტიროდი და ეს კიდევ უფრო შემზარავი იყო, თვალებში არავითარი შიში არ გამოკრთოდა. მათ უკვე ისეთი სიმწარე ენახათ, რომ შიშს გადაეჩვიენენ. მაშინ გორ ეცვა, ჯანმრთელად არის თუ არა, შაქარს მოუტანდა ხოლმე, რომელიც მაშინ არ იშოვებოდა. რუსიკომ გაიხსენა ექიმი კაჭახიძეც. ეს უკვე კოჯრის საბავშვო სახლში იყო, როცა ელხოტას ტიფი შეეყარა. კაჭახიძე მის სასთუმალთან მორიგეობდა. დღედაღამ თავს ედგა, სიარულს ასწავლიდა — მაშინ რუსიკოს ფეხები არ ემორჩილებოდა. კაჭახიძემ ღრმა რწმენით უთხრა: „ივლი და იობენ კიდეც, შვილო!“. ამ სიტყვებმა ძალა შემატა. გიხსენა გორის საფეიქრო კომბინატის გულისხმიერი მუშა ქალებიც თავიანთ პროფესიას რომ ასწავლიდნენ ელხოტას...

ჰოდა, ყველაფერი მართლაც „საზღვაო კვანძივით შეიკრა“ ელხოტას ბედში. ამ კვანძში გადაიხლართა ძაფები ყაზანიდან და მოსკოვიდან, ვოლგოგრადიდან და ხერსონიდან, ალტაის მხარიდან და თვით სახალინის კუნძულიდან. წერილს სწერს ყოფილი

ელხოტოვში სულ უფრო მეტი ხალხი იყრიდა თავს — ვეტერანები, ამ მიწა-წყლისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ნათესავები და ახლობლები. ნათელა სიჭინავას, თბილისელ ბუღალტერს, აქ დაეღუპა მამა. „ელხოტოვში ყოველი სახლი შენი შვილიური სახლია“, — უთხრა მას შეხვედრისას ა. კარსანოვმა. და ნათელა თვითონაც დარწმუნდა, რომ ასე იყო. თბილისში ნათელა სიჭინავას პატარა ოთახი ასევე შვილიური გახდა მათთვისაც, ელხოტოველებისათვის, რომლებიც პატივს სცემენენ მამამისის ხსოვნას. ნათელამ სწორედ მაშინ შეიტყო პატარა ელხოტას ამბავი და საკუთარი ინიციატივით მიაშურა არქივებს; იგი გვარს კი არ კითხულობდა, არამედ ეძებდა ცნობებს ორი წლის ოსი გოგონას შესახებ, რომელიც ფერდში იყო დაჭრილი. სწორედ ეს ჭრილობა აღმოჩნდა იმ ძაფის წვერი, რომელმაც ნათელა ბოლოს და ბოლოს თბილისში, ოქტომბრის ქუჩაზე რუსიკო კუზაევასთან — ელხოტასთან მიიყვანა. ამასობაში კი ა. კარსანოვი განაგრძობდა ახლომდებარე სოფლებში ელხოტას ოჯახის კვალის ძებნას, და აი, ერთხელ თბილისის ძველ ეზოში შევიდა ქალი ვაჟიშვილებთან ერთად...

ეს წუთები დაუვიწყარი დარჩა რუსიკოსათვის: „ეზოში დედაჩემს ხნრებში შესდგომიან მეზობლები, მე კი მეორე სართულიდან ვერ ექიმებმა დაადგინეს, რომ მესამე ხარისხის დისტროფია გქონდა. „მამობილები“ ხშირად მოდიოდნენ და საჩუქრები მოჰქონდათ ერთხელ მაგიდაზე ვარდისფერი აბრეშუმი გაშალეს. და ჩვენ კაბები და ქუდები შეგიკერეთ. მერე კი თანდათანობით ღიმილი ისწავლე“.

მაგრამ განა წერილში ყველაფერს იამბობ? ან ყველას მოიხსენიებ? მაგალითად, როგორ წვალდა მზვერავი ნიკოლოზ ჩუევი თხას, რომ ელხოტას რძე არ მოჰკლებოდა. ჩუევმა შემდეგ ეს ამბავი ელხოტოვში გამართულ მიტინგზე გაიხსენა, სადაც უკვე დაქალებულ ელხოტას შეხვედრა მოუწყვეს „მამობილებმა“ და თანასოფლელებმა.

ვაშინ ელხოტოვში ჩუევს სულ ხელში ეჭირა პატარა რიტა, თითქოს ელხოტას ბავშვობას ეალერსებაო, რომელიც ესოდენ განსხვავებული იყო. შემდეგ ნ. ჩუევი თბილისში ჩამოვიდა, ფაბრიკაში ეწვია რუსიკოს, ბევრი ირბინა მისი ბინის მიღების საკითხზე.

ელხოტამაც ბევრი რამ უამბო შეკრებილთ და გიხსენა, ვინ გაისარჯა მეზღვაურებთან ერთად მის გადასარჩენად. ცოცხალ ცხოვრებაში თეთრი ლაქები არ არსებობს. აი, მილიციელმა კუზაევმა ნორიოს საბავშვო სახლში თქვა: „ჩემი გვარი ატარე, შვილო!“. მერე კი ყურადღება არ მოუკლია, თვალს ადევნებდა, როსანინსტრუქტორი, ყაზანელი ფუად საიფულინი: „...მამაშენი, ანატოლი ნიკიტას ძე დანილოვი ავად არის. ფეხებმა უმტყუნა, აღარც გული აქვს ჯაბეკური. ნუ დაიგეშეგუბ, მისწერე ხოლმე“. ნიკოლოზ კოჩერგინი: „დედის გარდა კიდევ ვინ იპოვე შენი ნათესავებიდან? შემატყობინე, რომელ ფრონტზე დაიღუპა შენი ნამდვილი მამა. კარგად არჩევ თუ არა ჩემს ხელს? ჰო, როცა სამუშაოზე ხარ, რიტას ვის უტოვებ? ძალიან გთხოვ, ჩემი სალამი გადაეცი შენს კარგ მეზობლებს, რომლებიც ჩვენთან შესახვედრად გამზადებდნენ“. თევდორე ვოლოშინი, 84-ე ბრიგადის ყოფილი მეთაური: „ხედავ, როგორ აინტერესებს ყველას შენი ცხოვრება. ვიცი, გაამართლებ ამ ნდობას“.

და ამართლებს კიდეც: შეხვედრებზე „მამობილების“ საბრძოლო ორდენებთან ერთად ელვარებს მისი მედალიც „მამაცური შრომისათვის“. სახალინელი კლავდია ლეგოსტაევა სწორედ ასე სწერს: „ჩემო კარგო რუსიკო, გმადლობთ, რომ ასეთი კარგი ადამიანი დადექი“.

ტ. ჰანტურია,
„იზვესტიის“ საკ. კორ.

სურათზე: აი ასეთია ელხოტა! გ. ხომზორის ფოტო.
„იზვესტია“, 1983 წ. 19-XII.

22 დეკემბერი
ულტიმატუმი
ფაქტები მოვლენები საკლასო იუფყეება

უშიშროების საბჭოში

მიიღეს რეზოლუცია

ნიუ-იორკი. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მოითხოვა დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაიყვანონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საოკუპაციო ჯარები ანგოლის ტერიტორიიდან.** მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ „ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ნაწილის უკანონო სამხედრო ოკუპაცია ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღმამფოთებელი დარღვევაა და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას“. რეზოლუციას ხმა მისცა უშიშროების საბჭოს 14 წევრმა. კენჭისყრის დროს თავი შეიკავა მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მხარს უჭერს აფრიკის კონტინენტის სამხრეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ რასისტი აგრესორების ტერორისტულ გამოხდომებს. უშიშროების საბჭო მოიწვიეს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით ანგოლის წინააღმდეგ პრეტორიის რეჟიმის აგრესიისა და მისი ტერიტორიის ნაწილის 1981 წლიდან დაწყებული ოკუპაციის საკითხის განსახილველად.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სამხრეთაფრიკელი რასისტები ააქტიურებენ ძირგამომთხრელ საქმიანობას, ხოცავენ ანგოლის მშვიდობიან მოსახლეობას, ანგრევენ ქალაქებსა და სოფლებს, მწყობრიდან გამოჰყავთ სამრეწველო საწარმოები. საერთაშორისო გაერთიანებამ „სერიოზული შეშფოთება გამოთქვა ადამიანთა მასობრივი მკვლელობისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავდასხმის შედეგად უდიდესი მატერიალური ზარალის გამო“. უშიშროების საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ „საჭიროა მშვიდობის დასაცავად ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება იმ პირობებში, როცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა კვლავ არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას“. მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს სთხოვა კონტროლი გაუწიოს მიღებული რეზოლუციის შესრულებას და წარუდგინოს მას შესაბამისი მოხსენება.

აღმოვფხვრათ ბირთვული კატასტროფის საფრთხე!

ნიუ-იორკი. **თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფის საფრთხე, გამოვნახოთ ეფექტიანი გზები გამალებული ბირთვული შეიარაღების აღსაკვეთად და ამით განვამტკიცოთ მშვიდობა და ხალხთა უშიშროება — ასეთია გაერაღების საკითხებზე იმ მთელი რიგი რეზოლუციების მიზნები, რომლებიც მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 38-ე სესიის ბოლო სხდომაზე.** ამ დოკუმენტების ინიციატორები იყვნენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. როგორც კენჭისყრის შედეგებმა ცხადყო, მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა შეშფოთებულია დაძაბულობის ზრდის გამო, რაც ვაშინგტონის თავშეუკავებელი გამალებული შეიარაღების კურსის შედეგია.

ერთ-ერთ რეზოლუციაში სახელმწიფოთა ვალდებულება, რომ პირველები არ გამოიყენებენ ბირთვულ იარაღს, შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბირთვული ომის საფრთხის შემცირების გზაზე. როგორც ცნობილია, ბირთვული სახელმწიფოებიდან მხოლოდ საბჭოთა კავშირმა იკისრა ცალმხრივი წესით ასეთი ვალდებულება. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა უარი თქვეს მიებაძათ ამ მაგალითისათვის. ასამბლეამ მათ მოწოდებით მიმართა გააკეთონ ანალოგიური განცხადება.

მეორე რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „უაზრობაა ბირთვულ ომში გამარჯვების რაიმე იმედი“ და რომ „ასეთი ომი აუცილებლად მოსპობს სახელმწიფოებს, კატასტროფულ შედეგებს მოუტანს ცივილიზაციასა და დედამიწაზე თვით სიცოცხლეს“.

ცალკე რეზოლუციაში ასამბლეამ მოითხოვა აიკრძალოს ნეიტრონული იარაღი, რომელიც შეაფასეს როგორც ახალი ნაბიჯი თვისებრივი გამალებული შეიარაღების გზაზე.

სესიამ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს ეფექტიანად შეუწყონ ხელი საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების შესახებ დეკლარაციის განხორციელებას. დეკლარაცია შეიღებს. საბჭოთა კავშირის ინიციატივით 1970 წელს და ამჟამად იგი მშვიდობისა და უშიშროების საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტად მიაჩნიათ.

თუმცა თითოეულ ამ რეზოლუციას ხმა მისცა 110-130-მა სახელმწიფომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მთავარმა ნატოელმა პარტნიორებმა არც ერთ მათგანს არ დაუჭირეს მარი. სრულიად აშკარაა, რომ გენერალური ასამბლეის მიერ დაკავებული პოზიცია შეუთავსებელია ნატოს სამხედრო სტრატეგიასთან, რომელიც ითვალისწინებს ბირთვული იარაღის გამოყენებას მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე, აგრეთვე შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ მიღებულ შეიარაღების ზრდის პროგრამებთან.

გენერალური ასამბლეის 38-ე სესიის გადაწყვეტილებანი

●●

ხ. პერეს დე კუელიარის განცხადება

ნიუ-იორკი. **ახლანდელი გამწვავებული საერთაშორისო ვითარება ყველგან შეშფოთებას იწვევს მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების პერსპექტივების გამო.** ეს განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 38-ე სესიის მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ როგორი დამანგრეველი ომიც უნდა ყოფილიყო წინათ, იგი არ ემუქრებოდა კაცობრიობის არსებობას. ამჟამად კი, მშვიდობის ბედისათვის გადამწყვეტ პერიოდში ომი შეიძლება გახდეს კატასტროფა პროგრამისა და ცივილიზაციისათვის.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, მთავარ პრობლემას ქმნის ბირთვული იარაღის მარაგის დღენიადაგ ზრდა. ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ ყველაზე არსებითი ამოცანა ახლა არის შეუნელებელი გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვა.

არა აქვს ალტერნატივა მშვიდობას და ისეთ საერთაშორისო ურთიერთობას, რომელიც ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, განაცხადა ხ. პერეს დე კუელიარმა.

● ნიკარაგუა

ვაშინგტონი ვითარებას ამძაფრებს

ვაშინგტონი. **რეიგანის ადმინისტრაცია კვლავინდებურად ამძაფრებს ნიკარაგუის ირგვლივ მტრობისა და სიძულვილის ვითარებას.** უკანასკნელ ხანს ჰონდურასის ტერიტორიიდან გაანელიერეს აგრესიული მოქმედება კონტრრევოლუციურმა ჯგუფებ მ ა, რომლებსაც მხარს უჭერს და წარმართავს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინათ ნიკარაგუის ხინოტეგას დეპარტამენტში შეიჭრა 2000 სომოსელი, რომლებიც ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი აგრესიული მოქმედების გაფართოებისათვის. ამავე დროს ვაშინგტონი ისწრაფვის გააერთიანოს კონტრრევოლუციური ჯგუფები, რომლებიც სანდინისტურ რევოლუციას ებრძვიან.

თეთრი სახლის მითითებით „კონტადორული“ ჯგუფის“ ქვეყნებში იყო ცენტრალური ამერიკის საკითხთა შემსწავლელი, ეგრეთ წოდებული, ეროვნული კომისია, რომელსაც სათავეში უდგას ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი. კომისიამ სცადა დაეარწმუნებინა ცენტრალურ ამერიკაში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის მებრძოლი ეს ქვეყნები, ვითომ რეგიონის მადესტაბილიზებელ ფაქტორს წარმოადგენს არა შეერთებული შტატები, არამედ ნიკარაგუა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მოგზაურობა იყო წმინდა წყლის პროპაგანდისტული ფანდი, რომელიც მიზნად ისახავდა დაემახინჯებინა ფაქტები, დაებრალებინა ნიკარაგუისათვის რეგიონის ვითარების გამწვავება. თუმცა, ეს ცდები მარცხით დამთავრდა. ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გამართულ პრესკონფერენციაზე კისინჯერმა სამჯერ აარიდა თავი პირდაპირ პასუხს შეკითხვაზე იმის შესახებ, აიღებს თუ არა ხელს ამერიკის შეერთებული შტატები ნიკარაგუაში შეიარაღებული ინტერვენციის გეგმებზე. ეს მიიჩნიეს იმის დასტურად, რომ ვაშინგტონი არ თმობს თავის აგრესიულ გეგმებს სანდინისტური რევოლუციის მიმართ.

ფოტოფაქტი

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიერ ტეგუსიგალპიდან გადმოცემული ცნობით, ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფები გადასხდნენ ჰონდურასის სანაპიროზე პუერტო-კასტილის მახლობლად. ამ ფართომასშტაბიან სადესანტო ოპერაციაში მონაწილეობდა 1200 ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი და 500-ზე მეტი ჰონდურასის არმიის ჯარისკაცი.

ამერიკის მხედრიონის ამ პროვოკაციული აქციის მიზანია დაამშინოს რევოლუციური ნიკარაგუა და პრაქტიკულად დაამუშაოს ამ ქვეყანაში შეჭრის ტექნიკა.

სურათზე: ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები ჰონდურასში.

იუპი-საკადესის ფოტო.

● იტალია
ხელისშეშალთა გადაწყვეტილება

რომი. **იტალიაში იზრდება შეშფოთება იმის გამო, რომ ლიბანში მწვავდება ვითარება ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების სულ უფრო აშკარა ჩარევის შედეგად.**

იტალიის პოლიტიკურ წრეებში აქტიურად გაისმის მოთხოვნები გამოიყენონ იტალიის კონტინგენტი, რომელიც ლიბანში მშვიდობის ხელშემწყობი „მრავალეროვანი ძალების“ შემადგენლობაში შედის. ამასთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრმა ჯ. სპადოლინიმ სენატში გამოაცხადა, რომ იტალია შეუდგება „ბეიროუთში თავისი სამხედრო-ტექნიკური ყოფნის გადასინჯვას“. პრესის აზრით, ჯარების ეს თანდათანობითი გამოყვანა განხორციელდება იმ გზით, რომ იტალიაში დაბრუნდებიან ნამსახურები ჯარისკაცები და მათ ახალი კონტინგენტით აღარ შეცვლიან.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ლიბანიდან კონტინგენტის თანდათანობითი გამოყვანის გადაწყვეტილება იტალიის ხელისუფლებამ იმიტომ მიიღეს, რომ შიშობენ, ვაი თუ ამ ქვეყანაში ამერიკის სამხედრო ჩარევის ესკალაციამ იტალიაც ჩაიაბასო მსოფლიოს ამ რაიონის კონფლიქტში.

ბოკლეტ
ტელეტაიპის ლენტიდან

● ამანი. **იერუსალიმში გაიმართა მანიფესტაცია, რომლის მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ ისრაელის მხედრიონი განაგრძობს ლიბანის სამხრეთი ნაწილის ოკუპაციას.** მანიფესტაციაში მონაწილეობდა დაახლოებით 200 კაცი, ნეგევის უდაბნოში მდებარე ისრაელის ერთ-ერთი დასახლების პრაქტიკულად. მთელი მოზრდილი მოსახლეობა, რომლებიც სპეციალურად ჩავიდნენ იერუსალიმში, რათა გამოეთქვათ გულისწყრომა ისრაელის მთავრობის აგრესიული პოლიტიკის გამო.

● ტოკიო. **სეულის სასამართლომ სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯა კიდევ 15 სტუდენტს, რომლებიც შეიპყრეს ჩონ დუ ხვანის დიქტატურისა და ამერიკელთა მიერ სამხრეთ კორეის ოკუპაციის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების დროს.**

მათ წაუყენეს სტანდარტული ბრალდება, რომ ეწეოდნენ „ძირგამომთხრელ საქმიანობას“ და ავრცელებდნენ იმ ფურცლებს, რომლებიც დემოკრატიისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებენ. აქტივისტი სტუდენტების წინააღმდეგ მოწყობილი „საჩვენებელი სასამართლო პროცესები“ გამუდმებით იმართება სამხრეთ კორეაში. მარტო 19 დეკემბერს იატაკქვეშა ახალგაზრდული ჯგუფების შვიდ ხელმძღვანელს მიუსაჯეს ხანგრძლივი ვადის პატიმრობა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მოწყობისათვის. სულ უკანასკნელი წლის მანძილზე, მარტო ოფიციალური მონაცემებით, უკვე დაპატიმრებულია 400-ზე მეტი სტუდენტი.

● ბუენოს-აირესი. **პარაგვაის საზღვარზე, არგენტინის ქალაქ პოსადასში პარაგვაის ემიგრანტ მშრომელთა კონფედერაციის მოწოდებით გაიმართა გენერალ სტრესნერის დიქტატურის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაცია.** მანიფესტაციის მონაწილეებმა მოითხოვეს პროამერიკული დიქტატორული რეჟიმის ლიკვიდაცია და ქვეყანაში დემოკრატიის დამყარება. პარაგვაელი მშრომელების მოთხოვნებს მხარი დაუჭირა არგენტინის პარაგვაელ ხალხთან სოლიდარობის ეროვნულმა მოძრაობამ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის დ. ს. მჭედლიძის დამკრძალავი კომისია ი. ბ. გამრეკელის თავმჯდომარეობით.

დ. ს. მჭედლიძის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს გუნების დაუღალავი მკვლევარი

პროფესორი ლევ ვლადიმიროვი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დაუღალავად იკვლევს საქართველოსა და მთლიანად კავკასიის მდინარეებს, ტბებს, მყინვარებს, ჭაობებს, მიწისქვეშა წყლებს. მთის ჰიდროლოგია მისი უურადღებისა და გამუდმებული ზრუნვის მთავარი საგანია.

ლევ ვლადიმიროვი დაიბადა 1903 წელს ქალაქ ალექსანდროპოლში (ამჟამად ქ. ლენინაკანი) სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. ერევნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში და მისი დამთავრების შემდეგ მუშაობდა სომხეთის სსრ წყალსამეურნეო დაწესებულებებში.

1935 წლიდან ლ. ვლადიმიროვი საქართველოში ცხოვრობს და ამიერკავკასიისა და საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურის სამმართველოში მუშაობს.

დიდი სამამულო ომის დროს ლ. ვლადიმიროვი ამიერკავკასიის ფრონტის სანიენრო ჯარების შტაბისა და შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ობსერვატორიაში მუშაობდა. იგი ხშირად იგზავნებოდა მოქმედ არმიაში და სარდლობის

პროფესორ ლევ ვლადიმიროვის დაბადების 80 წლისთავის გამო

სპეციალურ დავალებებს ასრულებდა. იმავე პერიოდში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელ საბჭოში ლ. ვლადიმიროვი ხელმძღვანელობდა საქართველოს კლიმატური და ჰიდროლოგიური ატლასის შედგენას.

1945 წლიდან დღემდე ლ. ვლადიმიროვი მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1958 წელს აკადემიკოს ალ. ჯავახიშვილის თაოსნობით იქ შეიქმნა ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის განყოფილება, რომლის პირველ ხელმძღვანელად ლ. ვლადიმიროვი აირჩიეს. ამ თანამდებობაზე იგი მოღვაწეობდა 1980 წლამდე.

1965 წელს ლ. ვლადიმიროვს მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მის სადისერტაციო ნაშრომს. წარმოადგენდა ორი მონოგრაფია: „საქართველოს მდინარეთა საშუალო წლიური ჩამონადენი“ და „მდინარეთა საზრდოობა და ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე“.

გასაკუთრებით აღსანიშნავია ლ. ვლადიმიროვის ფუნდამენტური მონოგრაფიები კავკასიონისა და საქართველოს წყლის ბალანსის შესახებ. ეს უკანასკნელი მომზადებულია ჰიდროლოგიის განყოფილების თანამშრომელთა თანაავტორობით. წყლის ბალანსის კომპლექსური შესწავლით, რაც ამ ნაშრომების მთავარი ღირსებაა, მიღწეულია ჩამონადენის ყველა გენეტიური შემადგენლობისა და წყლის ბალანსის ელემენტების ოდენობრივი შეფასება ბუნებრივი კომპლექსების სიმაღლით დინამიკურობის მოზაიკურ ფონზე.

ლ. ვლადიმიროვის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის პრობლემების მაქსიმალური დაახლოება. მისი მრავალი შრომა საფუძვლად დაედო ჩვენი რესპუბლიკის წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეს.

ლ. ვლადიმიროვი 150-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიის ავტორია. მან დაამუშავა და შემდგომ განავითარა მთიანი ქვეყნების მდინარეთა ჩამონადენის წყლის ბალანსის, თოვლ-ყინულოვანი რესურსების გამოკვლევის მეთოდები. სამეცნიერო ლიტერატურაში მან დამკვიდრა ცნებები მდინარეთა აუზების ვერტიკალური გავრცობის, მიწისქვეშა წყალცვლის შესახებ, შემოიტანა ჩამონადენის შიგაწლიური განაწილების მკაცრი ოდენობრივი კრიტერიუმი, ჩამონადენის ფარდობითი სიმაღლითი გრადიენტი, დაიფუძნა მყინვარული ჩამონადენის გაანგარიშების ახალი მეთოდიკა და სხვა.

ლ. ვლადიმიროვი საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ერთ-ერთი პირველი ლაურეატია. ეს პრემია ავტორთა კოლექტივთან ერთად, მას 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ატლასის შექმნისათვის.

დიდია პროფესორ ლ. ვლადიმიროვის დამსახურება ახალგაზრდა ქართველ ჰიდროლოგთა აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 13 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

**ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უხუცესი თანამშრომელი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ლევ ვლადიმიროვი ახლაც განაგრძობს აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას. უკანასკნელ ხანს ჰიდროლოგიის განყოფილებაში მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასის მთავარ სარედაქციო კოლეგიის გადაეცა კავკასიის თოვლ-ყინულოვანი რესურსების რუკები, დასრულდა მუშაობა საქართველოს მთის აღორძინებ

საოპერო სპექტაკლი კულტსახლის სცენაზე

მიეძღვნა კომპოზიტორის ხსოვნას

სრულიად უჩვეულო ამბის მოწმენი გახდნენ ამას წინათ ხობის რაიონის მშრომელები და, მათთან ერთად, თბილისელი და ქუთაისელი სტუმრები. ადგილობრივი კულტურის სახლის სცენაზე პირველად წარმოადგინეს საოპერო სპექტაკლი — დავით თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი", რომელიც, როგორც ცნობილია, ახლახან წარმატებით დადგა ქუთაისელი საოპერო თეატრმა. ქუთაისელებს (თეატრის დირიქტორი — გ. ტორონჯაძე) მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი აქვთ დამყარებული ხობის მშრომელებთან და აქ არაერთგზის გამოსულან კიდეც კონცერტებზე მომღერლები, მაგრამ საოპერო სპექტაკლის დადგმა (მთელი მისი დეკორაციით), როგორც ითქვა, პირველად მოხდა.

სპექტაკლის დამსწრეებმა ფიეზზე ადგომით სცეს პატივი გამოჩენილი კომპოზიტორის ხსოვნას. სამი საათის მანძილზე 600-ადგილიანი დარბაზი სულგანაბული, ცხოველი დაინტერესებით უსმენდა დ. თორაძის მუსიკას, რომელიც ამღერებულად მოგვითხრობს დიდი რუსი მწერლის ა. გრიბოედოვის და საქართველოს უმშვენიერესი ასულის ნინო ჭავჭავაძის ტრაგიკული სიყვარულის ამბავს.

ქუთაისელების სპექტაკლმა უკვე მიიღო პრესაში სათანადო, ფრიად მაღალი შეფასება. მე იგი პირველად მოვისმინე და პროფესიულ მოვალეობად მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვა სპექტაკლის შესახებ.

დავიწყებ თვით კომპოზიტორის ნამუშევრით. როგორც ცნობილია, მან დიდი მუშაობა გასწია ოპერის თავდაპირველი რედაქციის (1958 წლისა) სრულყოფის მიმართულებით, რის შედეგადაც ნაწარმოებმა ძალიან მოიგო: იგი სტილისტიკურად დაიხვეწა, დრამატურგიულად გაცილებით უფრო კომპაქტური გახდა. ი. ნონეშვილის ჩინებული ლიბერეტოს დიდი მხატვრული ტაქტით „რეტუშირება" გაუკეთა ს. მრევლიშვილმა. ყოველივე ამის შედეგად „ჩრდილოეთის პატარძლის" მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ოპერის ისტორიაში, ჩემი აზრით, საგრძნობლად გაიზარდა, შესანიშნავია სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ალეკსიძის დადგმა. როგორც ყოველთვის, იგი მუშაობდა გატაცებით, სიყვარულით და თავისი ეს შემოქმედებითი ენთუზიაზმი გადასცა ოპერის შემსრულებლებს, მის ყველა მხატვრულ რგოლს.

დიდ კმაყოფილებას იწვევს ახალგაზრდა დირიჟორის თ. ჟუმბერიძის ნამუშევარი. მისი სადირიჟორო ინტერპრეტაცია ყურადღებას იქცევს თავისი პროფესიული დონით, მტკიცე ორგანიზებულობით, მხატვრული გემოვნებით. სრული საფუძველი გვაქვს ნიჭიერი მუსიკოსისაგან ახალ შემოქმედებითს წარმატებებს მოველოდეთ. აქვე უნდა ითქვას, რომ თ. ჟუმბერიძეს სპექტაკლზე მუშაობის დროს ჰყავდა დიდებული დამრიგებელი (სპექტაკლის მუსიკალური კონსულტანტი) თავისი ყოფილი მასწავლებლის — სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. დიმიტრიადის სახით.

უდავოდ დადებითი შეფასების ღირსია მხატვრების (მ. მურვანიძე, უ. იმერლიშვილი, ლ. ობოლაშვილი), ცეკვის დამდგმელების (ე. გუმბერიძე, ლ. მარგიევა) და, განსაკუთრებით, ქორმაისტრების (ა. მაჭავარიანი, ტ. თოფურიძე) ნამუშევარი (ამ ოპერაში ხომ გუნდს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია).

იმ საღამოს თავი ისახელეს სოლისტებმა, მთავარი პარტიების შემსრულებლებმა — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. ლომთათიძემ (გრიბოედოვი), ახალგაზრდა ნიჭიერმა მომღერალმა ფ. დუნდუაძ (ნინო ჭავჭავაძე), რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. ფხაკაძემ (ალექსანდრე ჭავჭავაძე), რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. კუბლაშვილმა (თავადი ერისთავი), რომელიც იმ საღამოს პირველად გამოვიდა ამ როლში, აგრეთვე დანარჩენი პარტიების შემსრულებლებმა — რ. კუბლაშვილმა, ე. გოგიაშვილმა, ნ. კიკოლაშვილმა, ნ. ხიზანიშვილმა, ა. გუჯაბიძემ, კ. ქასრაძემ, ს. ლელაძემ, შ. ქებაძემ, ა. გუმბერიძემ, გ. აბესაძემ.

მადლობა ეთქმის ქუთაისის საოპერო თეატრის კოლექტივს, რომელმაც სიცოცხლე დაუბრუნა კიდევ ერთ ქართულ ოპერას.

დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძლის" წარმოდგენამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ხობელები მხურვალედ შეხვდნენ ოპერის დამდგმელს დ. ალეკსიძეს, ქუთაისის მთელ საოპერო შემოქმედების კოლექტივს. სპექტაკლი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენად გადაიქცა და აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თვალსაჩინო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც წარმოებს ხობში (რაიკომის პირველი მდივანი — ნ. ნადარაია) და ყოველმხრივ სამაგალითოდ უნდა იქცეს. ხობის ჩინებულ კულტურის სახლში მუშაობს სამუსიკო სკოლა, მხატვრული წრეები, სახალხო თეატრი, ცალკე გაიხსნა კოლხეთის ათვისების ისტორიის მუზეუმი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმი, დიდი სპორტულ-დასასვენებელი კორპუსი, რომელიც, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. სულ მალე მწყობრში ჩადგება პოტი ა. მირცხულავას სახლ-მუზეუმი. 12-14 იანვარს ხობში გაიმართება რესპუბლიკაში უკვე ტრადიციული ღონისძიება — მუსიკის, პოეზიისა და თეატრის დღეები, რომლებზეც მოწვეული იქნებიან სტუმრები. ის, რაც ხობში განვიცადე დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძლის" მოსმენით, უფლებას მაძლევს დარწმუნებით ვთქვა, რომ ეს ზეიმიც ღირსეულად ჩაივლის.

ბ. ტორაძე,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ფეხბურთი

33 საუკეთესო

წიგნი — „ელვა"

ლონდონი. (საკუთარი). ჟადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ ინგლისის დედალაქაში გამოვიდა წიგნი — „კასპაროვ-კორჩნოი: ლონდონის შეჯიბრება".

96-გვერდიანი წიგნის ავტორები არიან ინგლისელი დიდოსტატი რ. კინი და დ. ლოუსონი. ილუსტრირებული გამოცემა შეიცავს ამ ასპარეზობის თერმეტივე პარტიის განმარტებას.

წიგნი გამოუშვა 1843 წელს დაარსებულმა გამომცემლობა „ბ. ტ. ბატსფორდმა", რომელსაც 1969 წლამდე არ გამოუშვია საჭადრაკო ლიტერატურა, მაგრამ მას შემდეგ გამოაქვეყნა ჭადრაკისადმი მიძღვნილი 150 წიგნი.

ეძებენ „ოქროს ქალღმერთს"

ბრაზილია. (საკუთარი კორ. ი. ბესპალკო). ბრაზილიის მილიონობით ფეხბურთის თაყვანისმცემელი. აღშფოთებულია თავხედური დანაშაულით: რიო-დე-ჟანეიროში ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის შტაბ-ბინიდან, როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოიპარეს „ოქროს ქალღმერთი" — მსოფლიო ჩემპიონთა პრიზი.

ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. კოუტინიომ მოიწოდა ქურდებს დაბრუნონ ბრაზილიის ფეხბურთის ეს სათაყვანებელი ნივთი და დიდი თანხა აღუთქვა ინფორმაციისათვის, რომელიც დაეხმარება აღმოაჩინონ ბრილიანტებითა და ზურმუხტებით შემკული ოქროს თასი. პოლიციამ გამოაცხადა, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილია ფეხბურთის ფედერაციის ორი ყოფილი თანამშრომელი. ბევრი ბრაზილიელი ეჭვობს, თასი უკვე ოქროს ზოდად იქნება გადადნობილიო.

დ. ს. მჭედლიძის დამპრალავი პოზიციისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 23 და 24 დეკემბერს, 19 საათზე განსვენებულის ბინაში (ითარბეგოვის ქუჩა, № 33), 25 დეკემბერს — 13 საათზე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობაში. გამოსვენება 15 საათზე.

დაკრძალვა — საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ბრაზილია. (საკუთარი კორ. ი. ბესპალკო). ბრაზილიის მილიონობით ფეხბურთის თაყვანისმცემელი. აღშფოთებულია თავხედური დანაშაულით: რიო-დე-ჟანეიროში ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის შტაბ-ბინიდან, როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოიპარეს „ოქროს ქალღმერთი" — მსოფლიო ჩემპიონთა პრიზი.

ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. კოუტინიომ მოიწოდა ქურდებს დაბრუნონ ბრაზილიის ფეხბურთის ეს სათაყვანებელი ნივთი და დიდი თანხა აღუთქვა ინფორმაციისათვის, რომელიც დაეხმარება აღმოაჩინონ ბრილიანტებითა და ზურმუხტებით შემკული ოქროს თასი. პოლიციამ გამოაცხადა, რომ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილია ფეხბურთის ფედერაციის ორი ყოფილი თანამშრომელი. ბევრი ბრაზილიელი ეჭვობს, თასი უკვე ოქროს ზოდად იქნება გადადნობილიო.

სატურნირო ორბიტა

პოკერი. მოსკოვში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. გთავაზობთ ბოლო მატჩების შედეგებს: ფინეთი-შვეცია — 1:5, კანადა-ფინეთი — 1:3, სსრ კავშირი-ჩეხოსლოვაკია — 5:2. სსრ კავშირის ნაკრებმა ოთხივე შეხვედრა მოიგო, დააგროვა 8 ქულა, პირველობას დაეუფლა და ცხადია, „იზვესტიის" პრიზიც მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელები (6 ქულა), მესამეზე — შვედები (4), მეოთხეზე — ფინელები (2), მეზუთეზე — კანადელები (0).

ხელბურთი. კაუნასში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი შეჯიბრება. გთავაზობთ შედეგებს: მინსკის ასკ-რიგის „ცელტნიეკსი" — 30:20, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი-თბილისის „ქართველა" — 32:27, მოსკოვის „კუნცევო"-ჩელიაბინსკის „პოლიოტი" —30:24, ლენინგრადის „ნევა"-ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი — 26:32, ლვოვის ასკ-ცსკა — 19:26, „კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი-კაუნასის „გრანატასი" — 22:26; მინსკის ასკ-„ქარიშხალა" 38:18, ფიზკულტურის ინსტიტუტი- ინდუსტრიული ინსტიტუტი — 23:28, ცსკა-„ნევა" — 27:22, „ცელტნიეკსი"-ლვოვის ასკ — 26:21, „პოლიოტი"-საავიაციო ინსტიტუტი —34:28, „გრანატასი"-„კუნცევო" — 34:26. შეჯიბრების ლიდერთა ჯგუფში არიან: ცსკა— 14 ქულა, მინსკის ასკ — 13 და საავიაციო ინსტიტუტი — 9 ქულა. თბილისელები 6 ქულით მერვე ადგილზე არიან.

ფუალბურთი. მოსკოვსა და ლენინგრადში სტარტი აიღო საკავშირო ჩემპიონატმა. ᲗᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ პირველი დღის შედეგებს: **მოსკოვი.** მოსკოვის უნივერსიტეტი-კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) —14:13, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-კიევი „დინამო" —7:6, მოსკოვის „ტორპედო"-თბილისის „დინამო" — 8:7; **ლენინგრადი.** მოსკოვის „დინამო"), 2. მ. სოკოლოვსკი („მბტტორი"), 3. ვ. მელნიკოვი („ზენიტი").

მარცხენა ნახევარმცველები — 1. ხ. ოპანასიანი („არარატი"), 2. ვ. კუზნეცოვი („დნეპრი"), 3. ა. ზიგმანტოვიჩი (მინსკის „დინამო").

მარჯვენა გარემარბები — 1. ი. გურინოვიჩი (მინსკის „დინამო"), 2. ვ. გრაჩოვი („მბტტორი"), 3. ო. პროტასოვი („დნეპრი").

ცენტრალური თავდამსმელები — 1. ი. გავრილოვი („სპარტაკი"), 2. ა. ტარხანოვი (ცსკა), 3. ს. იაკუბაუსკასი („ქალგირისი").

მარცხენა გარემარბები — 1. ს. როდიონოვი („სპარტაკი"), 2. ო. ბლოხინი (კიევის „დინამო"), 3. ო. ტარანი („დნეპრი").

როგორც ხედავთ, ამჯერად 33 საუკეთესოს შორის თბილისელთაგან მხოლოდ ა. ჩივაძეა.

ბარბა ამისა, დამტკიცდა ქვეყნის 10 საუკეთესო მსაჯის სია. მასში შევიდნენ: 1. რ. ოუშაკი (ვილნიუსი), 2. ა. მილჩენკო (სოხუმი), 3. ა. მუშკოვეცი, 4. ი. სავჩენკო (ორიეე — მოსკოვი), 5. ვ. მიმინოშვილი (თბილისი), 6. ვ. კუზნეცოვი (ომსკი), 7. კ. დორონინი (მოსკოვი), 8. ი. ტიმოშენკო (როსტოვი), 9. ა. კადეტოვი (მოსკოვი), 10. მ. მკრტჩიანი (ერევანი).

ᲨᲐᲨᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე. 11.15 — „პარტიული ცხოვრება". რეპორტაჟი „კომუნისტთა აქტიურობა". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.15 — „ქალაქური პანგები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ბ. ლეონიძის ლექსები. 12.30 — მღერის თ. გურგენიძე. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა". კ. გამსახურდია — „დიდოსტატის მარჯვენა". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „ოპერების საცეკვაოები. 17.40 — ᲒᲕᲘᲚᲐᲗᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. რადიოსადღური „ცეცინათელა". 18.00 — თბილისის ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „კომუნისტები". რადიონარკვევი „ტრადიცია გრძელდება". 19.15 — მღერის ც. ტატიშვილი. 19.40 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.). 20.30 — „ᲗᲝᲚᲘᲡᲘ-ᲪᲘᲒᲐᲜᲘ-ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘᲡ". 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ᲐᲠᲐᲛᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 9.37 — „ᲒᲐᲖᲐᲕᲘᲡ ᲮᲝᲜᲐ". (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 10.45 — „ᲪᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐ". 11.00 — „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ". 11.30 — „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ". 12.10 — „ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲐᲜᲓᲘᲡ ᲞᲐᲜᲓᲘᲡ". 12.40 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.00 — „ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ". 13.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.45 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.00 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.30 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲦᲘᲠᲡᲘᲡᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ". 14.45 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲑᲘᲡᲘ". 15.00 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ". 15.15 — „ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ". 15.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.00 — „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ". 16.15 — „ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.30 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.45 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲑᲘᲡᲘ". 17.00 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ". 17.15 — „ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲘᲐ, ᲗᲐᲛᲐᲠᲘ...". 17.30 — „ᲒᲐᲖᲐᲕᲘᲡ ᲮᲝᲜᲐ". 17.45 — „ᲞᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ". 18.00 — „ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ". 18.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 18.30 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 18.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 19.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 19.15 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 19.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 19.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 20.00 — „ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ". 20.15 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 20.30 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 20.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 21.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 21.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 21.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 21.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 22.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 22.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 22.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 22.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 23.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 23.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 23.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 23.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 24.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ".

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲖᲐᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ. 9.35 — „ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ". 9.45 — „ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲨᲘ". 10.00 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲑᲘᲡᲘ". 10.30 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ". 10.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 11.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 11.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 11.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 11.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 12.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 12.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 12.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 12.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.30 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲦᲘᲠᲡᲘᲡᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ". 14.45 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲑᲘᲡᲘ". 15.00 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ". 15.15 — „ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ". 15.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 15.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 17.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 17.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 17.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 17.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 18.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 18.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 18.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 18.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 19.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 19.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 19.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 19.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 20.00 — „ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘᲡ". 20.15 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 20.30 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 20.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 21.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 21.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 21.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 21.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 22.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 22.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 22.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 22.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 23.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 23.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 23.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 23.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 24.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ".

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ᲒᲐᲖᲐᲕᲘᲡ ᲮᲝᲜᲐ". (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 10.45 — „ᲪᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲐ". 11.00 — „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ". 11.30 — „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ". 11.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 12.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 12.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 12.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 12.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 13.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 14.30 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲦᲘᲠᲡᲘᲡᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ". 14.45 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲑᲘᲡᲘ". 15.00 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ". 15.15 — „ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲘ". 15.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 15.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.15 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ". 16.45 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐ